

ინკლუზიური განათლება: გამოწვევიდან შესაძლებლობამდე

თამარ ტუხაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ-ს ასოცირებული პროფესორი
tamari.tukhashvili@giu.edu.ge
<https://doi.org/10.61950/giu.4.2026.12137>

აბსტრაქტი

ყოველწლიურად მზარდია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა, რაც ქმნის დამატებითი დაფიქრების საჭიროებას გამოწვევებთან გამკლავების გზების შემუშავებასა და ინკლუზიურობის ფენომენის პოზიტიურად გაზრდისკენ. აღნიშნულ ნაშრომში განხილულია კვლევებზე დაფუძნებული რიგი საკითხები, რომელიც იკვეთება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობისას საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ასევე, ხაზგასმულია ინკლუზიური განათლების სარგებელი სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებთან: განათლების მიღების, აკადემიური შედეგების, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდის და ა.შ. მიმართულებით. ნაშრომში გამოკვეთილია პრიორიტეტები, რომელთა გაძლიერება მნიშვნელოვნად განაპირობებს ინკლუზიური განათლების გარკვეული სირთულეების დაძლევას და მოსწავლეთა უმტკივნეულო, მაღალხარისხიან ჩართვას სწავლა-სწავლებისა და სამომავლოდ, მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური განათლება, სსსმ მოსწავლე, აკომოდაცია, მოდიფიკაცია, დამოკიდებულება.

შესავალი

1980-იან წლებში ცვლილება განიცადა ტერმინმა „ინტეგრაცია“. რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საჯარო სკოლებში განთავსების პროცესთან მიმართებით გამოიყენებოდა და ბავშვის ფიზიკურ ჩართულობას გულისხმობდა ისეთი მხარდაჭერით, რომელიც სასკოლო ცხოვრებასა და სასწავლო პროგრამის მოდიფიცირებას არ გამოიწვევდა. ტერმინი „ინკლუზია“ კი მიემართება ფოკუსის გადატანისკენ ბავშვიდან სკოლაზე, მოსწავლის სრულ ჩართულობაზე სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტში, რომლის თანმდევი პროცესი იქნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და აკომოდაციის სხვადასხვა სახის უზრუნველყოფა მათი საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით. (ლ. ქურციკიძე, შ. ტყემელაშვილი „ინკლუზიური განათლების გზამკვლევი“ 2025).

ინკლუზიურ განათლებასთან მიმართებით, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტერმინი ფიგურირებს: სპეციალური განათლება, რომელიც მოიცავს სხვადასხვა საგანმანათლებლო მოდელს იმ მოსწავლეებისთვის, ვისაც დამატებითი მხარდაჭერა ესაჭიროება (რესურს სკოლა, ინტეგრირებული კლასი და ა.შ.). მოსწავლეების სპეციალიზირებულ სკოლებსა და კლასებში განაწილება უნდა ხდებოდეს გამონაკლის შემთხვევებში და რეკომენდირებულია მხოლოდ მაშინ,

როცა ზოგადსაგანმანათლებლო კლასში ჩართულობა ვერ უზრუნველყოფს ბავშვის საგანმანათლებლო თუ სოციალურ საჭიროებებს, ან როცა ეს აუცილებელია ამ ბავშვის ან სხვა ბავშვების კეთილდღეობისათვის. ამ შემთხვევაში, მშობლებს აქვთ უფლება მიიღონ კვალიფიციური და ამომწურავი კონსულტაცია განათლების იმ ფორმის შესახებ, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მათი შვილების საჭიროებებს, რათა ინფორმირებული არჩევანი გააკეთონ (ინკლუზიური განათლების გზამკვლევი მასწავლებლებისთვის).

ინკლუზიური განათლება მიზნად ისახავს თანამედროვე განათლების სისტემის ისეთ გარდაქმნას, როდესაც სკოლა ყოველმხრივ მომზადებული დახვდება თითოეული ბავშვის საჭიროებებს და შექმნის შესაძლებლობას, მათი დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდისათვის სხვადასხვა ასპექტში: აკადემიური, კოგნიტური, ფუნქციური, მოტორული, კომუნიკაციური, ფიზიკური გარემოს ადაპტირების, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის, მშობელთა ჩართულობის და ა.შ. მიმართულებით.

მსოფლიო მასშტაბით, 2018 წელს ხანგრძლივი მსჯელობის შედეგად, ინკლუზიური განათლების განმარტების ფართო მნიშვნელობით ფორმულირება საკანონმდებლო ბაზაში მოახერხა პორტუგალიამ: „პროცესი, რომლის მიზანია ნებისმიერი და ყველა მოსწავლის მრავალფეროვან საჭიროებებსა და პოტენციალზე რეაგირება“ (Portugal Presidency of the Council of Ministers, 2018). ყველა ბავშვს აქვს განათლების უფლება, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“ (CRPD) ინკლუზიურ განათლებას განიხილავს, როგორც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას. ინკლუზიური განათლება – თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების მიღება.

სალამანკას დეკლარაცია მიხედვით (1995), „ყველა ბავშვს აქვს უფლება ისწავლოს თანატოლებთან ერთად კლასში; მონაწილეობა მიიღოს ბავშვებზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროცესში, რათა მოხდეს მისი ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილება; ინკლუზიური განათლების განხორციელება სათანადო პირობებით უზრუნველყოფს მასში ჩართულ ბავშვებს; ინკლუზიური განათლება განაპირობებს ინკლუზიური საზოგადოების წარმოშობასა და ეფექტურობას“.

საქართველოში ინკლუზიური განათლების მიმართულებით, კანონში ზოგადი განათლების შესახებ, ინკლუზიური განათლება განმარტებულია, როგორც “თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება (კანონი ზოგადი განათლების შესახებ).

ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულია კატეგორიები(ჩამონათვალი), ვინ შეიძლება იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რომელიც შესაძლოა ჩართული იყოს ინკლუზიურ განათლებაში. მოსწავლე, რომელსაც აღნიშნება:

ა) ფიზიკური შეზღუდვა;

- ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;
- გ) სწავლის უნარის დარღვევა;
- დ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
- ე) ენა-მეტყველების განვითარების დარღვევა და კომუნიკაციის სირთულეები;
- ვ) ქცევითი და ემოციური დარღვევა;
- ზ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
- თ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს;
- ი) ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები.

ინკლუზიური განათლების მარეგულირებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს საქართველოში, წარმოადგენს ბრძანება 16/ნ, რომელიც მოიცავს ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ დოკუმენტალურ ნაწილს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №16/ნ).

სსსმ სტატუსის მინიჭების პროცედურა

მნიშვნელოვანია გარემოება, როგორ ხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის განსაზღვრა, სტატუსის მოხსნა, სხვადასხვა სპეციალისტების განსაზღვრა, რომლებიც სკოლაში წარმოადგენენ ინკლუზიური განათლების მხარდამჭერ სპეციალისტებს და საგნის მასწავლებლებთან ერთად, მუშაობენ სხვადასვა უნარების განვითარებაზე მოსწავლის საჭიროებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე.

ბრძანება 16/ნ-ის მიხედვით, საგანმანათლებლო სივრცეში ბავშვის პირველადი სირთულეების აღმოჩენი არის საგნის მასწავლებელი/მასწავლებლები, რომელიც კონკრეტულ საგანთან მიმართებით აღმოაჩენს, რომ მოსწავლე ვერ სძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს(შენიშვნა: ერთ საგანშიც კი არსებული ამ სახის სირთულე შეიძლება გახდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განმსაზღვრელი). მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეს გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მუშაობს სხვადასხვა მეთოდოლოგიით და თუ მაინც ვერ ხდება სირთულეების აღმოფხვრა, ატყობინებს კლასის დამრიგებელს, ადმინისტრაციას, მოსწავლის მშობელს, სპეციალურ მასწავლებელს, ხდება ერთობლივი ღონისძიებების გატარება და თუ კიდევ არსებობს გამოწვევა, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სთავაზობენ დაწეროს შუამდგომლობის განცხადება დირექტორის სახელზე, რომელიც რესურს ცენტრის გავლით, აღნიშნულ განცხადებას თანმხლებ დოკუმენტაციასთან ერთად(სკოლის მიმართვის ფორმა, მასწავლებლების მიერ ყველა საგანში მოსწავლის აკადემიური მოცემულობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებაში, სკოლის დირექტორის მიერ ხელმოწერილი სკოლის მომართვის ფორმა, ინკლუზიური განათლებაში ჩართული

სპეციალისტის (სპეც. მასწავლებელი თუ სკოლას უკვე ჰყავს სპეციალისტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, უზრუნველყოფს კლასის დამრიგებელი) რეკომენდაციები და სხვადასხვა სფეროების: კოგნიტური, აკადემიური, ფუნქციური უნარები აღწერილობა-იგზავნება მანდატურის სამსახურის ინკლუზიურ და მხარდამჭერ ცენტრში(სამმართველო), რომელიც გადაამისამართებს აღნიშნულ სამმართველოში მომუშავე სპეციალისტთან (ე. წ. ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტი).

ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტი უკავშირდება მშობელს, შეათანხმებს შეხვედრის თარიღს, დროს და ადგილს მოსწავლის ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისთვის, ხოლო შემდგომ, ბრძანებით გაწერილ ვადებში გადაუგზავნის შეფასების დასკვნას-რეკომენდაციებით სკოლას, რომელიც ხდება კონკრეტული მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საფუძველი ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით.

ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის ვალდებულებანი

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობის მიხედვით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის განსაზღვრა სკოლის და პროფესიული სასწავლებლის შემთხვევაში, მხოლოდ ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის უფლებაა. მაშასადამე, რა შეიძლება იყოს აღნიშნულ სპეციალისტთან მიმართვის მიზანი:

- პირველადი შეფასება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადგენა;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განმეორებითი შეფასება დამატებითი რეკომენდაციების განსაზღვრის მიზნით;
- შეფასება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის მოხსნის მიზნით;
- შეფასება ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის მიზნით;
- შეფასება სკოლიდან პროფესიულ სასწავლებელში ტრანზიციის მიზნით;
- შეფასება ინტეგრირებულ კლასში ჩარიცხვის მიზნით;
- შეფასება რესურს სკოლაში ჩარიცხვის მიზნით;
- შეფასება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის, ფსიქოლოგის და/ან სხვა სპეციალისტების საჭიროების განსაზღვრის მიზნით.
- ბაღიდან სკოლაში ტრანზიცია;
- სკოლიდან პროფესიულში ტრანზიცია.

ფსიქოსაგანმანათლებლო დასკვნის მიღების შემდეგ, სკოლა ითვალისწინებს სპეციალისტის რეკომენდაციებს და ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე, თანამშრომლობს, როგორც განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, ასევე, ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტთან სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებულ ყველა რელევანტურ საკითხზე.

სკოლის გარემოში მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსი ინკლუზიური განათლების მიმართულებით:

- სპეციალური მასწავლებელი,
- ფსიქოლოგი,
- ოკუპაციური თერაპევტი,
- ენისა და მეტყველების სპეციალისტი,
- ჟესტური ენის თარჯიმანი,
- ჟესტური ენის სპეციალისტი,
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ინდივიდუალური ასისტენტი,
- მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი.

სპეციალისტები ემსახურებიან მოსწავლეს კომპეტენციის ფარგლებში და ხელს უწყობენ მის განვითარებასა და დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდას. ბუნებრივია, მხოლოდ სპეციალისტის არსებობა ვერ უზრუნველყოფს ეფექტიანი შედეგის დადგომას, თუ მხარდამჭერი გარემო არ იარსებებს სასკოლო საზოგადოების-ადმინისტრაცია, საგნის მასწავლებლები და მშობლის - მჭიდრო თანამშრომლობით, რადგან „ინკლუზია გულისხმობს ყველას.“

საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევები ინკლუზიური განათლების მიმართულებით:

თანამედროვე კვლევები მეტყველებს, რომ ინკლუზიური განათლება სარგებლიანია, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, ასევე, ტიპური განვითარების მქონე ბავშვებისთვისაც, რადგან ინკლუზიური განათლების შედეგად, სწავლება და პედაგოგიკა ხდება უფრო ხარისხიანი (Brantlinger, 2006; Layser & Kirk, 2007; Floarian, 2010; Hwang & Evans, 2011; Lindsay, 2011; Odom, Buysse, & Soukakou, 2012).

კვლევათა ნაწილში დადასტურდა ინკლუზიური გარემოს პოზიტიური გავლენა ყველა მოსწავლის სწავლის შედეგებზე (კვლევების 23%), ხოლო უმეტესობა ამტკიცებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ჩართულობას არანაირი ეფექტი არ აქვს ტიპური განვითარების მოსწავლეების სწავლაზე (კვლევების 81%) (Kalambouka, Farrell, Dyson, Kaplan, 2007). ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ინკლუზიურ გარემოში, სადაც სწავლების პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობაზე, ტიპური განვითარების მოსწავლეები იძენენ მოტივაციასთან დაკავშირებულ უნარებსა და უფრო სიღრმისეულ ცოდნას (Hunt, 2019).

ერთ-ერთი ავსტრალიური კვლევის მიხედვით, მასწავლებლის პოზიტიური მიდგომა მნიშვნელოვნად განაპირობებს ინკლუზიური პრაქტიკის დანერგვას სკოლაში, მასწავლებლებს, სკოლის წარმომადგენლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის ინკლუზიისადმი მიმდებლობას (Carlson, Hemmings, Wurf, & Reupert, 2012). ასევე, საგულისხმოა ტრენინგები მასწავლებლებისთვის, რომელიც მათ განუსაზღვრავს შეძენილი ცოდნით ეფექტიანად მოახერხონ ინკლუზიური განათლების სარგებლიანობის ასახვა პრაქტიკაში-ყველა მოსწავლისათვის.

კვლევებით ასევე დასტურდება ინკლუზიური განათლების პოზიტიურ გავლენა ტიპური განვითარების მქონე მოსწავლესთან მიმართებაში, კერძოდ, ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეთა სოციალური და ემოციური უნარების განვითარებაზე, რაც გამოიხატება განსხვავებული ადამიანების მიმართ შემცირებულ შიშში, გაზრდილი სოციალური კოგნიცია,

გაუმჯობესებული მე-კონცეფცია, პიროვნული მორალისა და ეთიკური პრინციპების გაუმჯობესება. უფრო თბილი და მოსიყვარულე ურთიერთობების ქონა (Allport, 1979; Staub & Peck, 1995).

ინკლუზიური განათლების მიმართულებით, ბოლო წლებში საქართველოში მკლევრებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს, როგორი იყო დამოკიდებულება (განწყობა) საზოგადოების, მასწავლებლების, სპეციალური მასწავლებლების, ასისტენტების, ფსიქოლოგების მხრიდან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მიმართ. ახდენს თუ არა გავლენას ინკლუზიურ განათლებაზე მიწოდებული ინფორმაცია დამოკიდებულების (განწყობის) შეცვლაზე სპეციალური საჭიროების ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა მიმართ. დასტურდება, რომ ინკლუზიური განათლების მიმართულებით ტრენინგები ცვლიან დამოკიდებულებას სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა მიმართ და ეს ცვლილება პოზიტიურია. ერთ-ერთი ასეთი კვლევა 2016-2017 წლებში ჩატარდა საქართველოში არაერთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში: უნივერსიტეტში, სკოლებში და შედეგად გამოიკვეთა, მნიშვნელოვნად შეიცვალა იმ ადამიანების დამოკიდებულებაც ინკლუზიაში მიღებული ცოდნით, რომელებიც ნეიტრალურად ან ნეგატიურად იყვნენ განწყობილნი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მიმართ. (მ. კალანდარიშვილი, თ. ტუხაშვილი, ე. ნინოშვილი).

გამოწვევიდან შესაძლებლობამდე

სხვადასხვა სირთულის მქონე ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულების მრავალმხრივი მხარდაჭერა: ფიზიკური გარემოს ადაპტირება, ადამიანური რესურსის (განსაკუთრებით, მასწავლებლების) გადამზადება ინკლუზიური განათლების მიმართულებით, მშობლებთან კომუნიკაცია, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, ასევე, ტიპური განათლების მქონე ბავშვების მშობლებთან ცნობიერების ამაღლების მიმართულებით და ა.შ.

ერთ-ერთ გამოწვევას სასკოლო გარემოში წარმოადგენს მასწავლებელთა არასრულფასოვანი განათლება ან დამოკიდებულება ინკლუზიური განათლების მიმართულებით, რომელიც გარკვეულწილად აისახება მოსწავლეებთან ურთიერთობის პროცესში და შედეგად-აკადემიურ მოსწრებაზე. აღსანიშნია, რომ საქართველოში ამ მიმართულებით არაერთი ღონისძიება ტარდება, მაგ: მასწავლებლის სახლის მიერ დაგეგმილი ტრენინგები საგნის მასწავლებლებისთვის, სპეციალური მასწავლებლებისთვის, ასისტენტებისთვის, ფსიქოლოგებისთვის. სპეციალური მასწავლებლის მხრიდან განხორციელებული სარეკომენდაციო მხარდაჭერა და ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები, მანდატურის სამსახურის ინკლუზიური განათლების სამმართველოს მიერ ორგანიზებული ვებინარები სხვადასხვა საკითხებზე. მიუხედავად აღნიშნულისა, ერთ-ერთ გამოწვევად რჩება მასწავლებელთა სრულფასოვანი მხარდაჭერა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისადმი. დამოკიდებულება ნაწილობრივ შეიცვალა წინა წლებთან შედარებით, მაგრამ სასურველია მეტი განვითარება.

სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევებიც მეტყველებს, რომ მასწავლებელი, რომელსაც აქვს არასაკმარისი ცოდნა, გამოცდილება, სურვილი/მიმდებლობა განსხვავებული შესაძლებლობის

მქონე მოსწავლეებთან მუშაობა-ურთიერთობის კონტექსტში, ზოგჯერ იქცევა ეს ინკლუზიური განათლების წარმატების ბარიერად.

მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ ეს შეიძლება განპირობებული იყოს შესაბამისი ტრენინგების ნაკლებობით. მაგ: ამერიკასა და შოტლანდიაში ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა სწორედ ამ საკითხში მხარდაჭერაის ნაკლებობას აღნიშნავდა, რაც თეორიულად მათ უზიძგებდა ინკლუზიური განათლების კონცეფციის მხარდაჭერისკენ, მაგრამ პრაქტიკაში ნაკლებად გამოხატავდნენ სურვილს საკუთარ კლასში ჰყოლოდათ განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლე.

კვლევები აჩვენებს, რომ სწავლების მეთოდების მოქნილობა და ადაპტირებულობა ერთ-ერთი ეფექტური პრაქტიკაა პროცესში ყველა ბავშვის ჩასართავად (Tomlinson, 2014). ამავდროულად, პოზიტიური გარემოს ფორმირება გადამწყვეტია ინკლუზიური განათლების ხელშეწყობისთვის. ბოლო კვლევები ხაზს უსვამს, რომ პოზიტიური გარემო, რომელიც ხასიათდება ურთიერთპატივისცემით, ემოციური უსაფრთხოებითა და თანამშრომლობის მაღალი დონით, მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლეთა სწავლის მოტივაციასა და კეთილდღეობას (Deroncele-Acosta, Ellis, 2024). განათლებაში პოზიტიური ჩარჩოების დანერგვა ინკლუზიურობის ფუნდამენტია. მხოლოდ ასეთ გარემოში ხდება მოსწავლეთა საჭიროებების აღიარება, გათვალისწინება და მხარდაჭერა. პოზიტიური გარემო ამცირებს ბარიერებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, სპეციალური საჭიროების მქონე ან მარგინალიზებული ჯგუფის წარმომადგენელი ბავშვებისთვის (Araujo Dawson, Kilgore, Rawcliffe, 2022).

მოქნილობისა და ადაპტირების უნარი ფუნდამენტურია ინკლუზიური განათლების წარმატებისთვის. მოქნილობა მასწავლებლებს საშუალებას აძლევს მოარგონ სწავლების სტრატეგიები, კლასის მენეჯმენტის მეთოდები და რესურსები მოსწავლეთა განსხვავებულ საჭიროებებს. ეს კი უზრუნველყოფს სწავლის შესაძლებლობებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას (Lübke, Pinquart, Schwinger, 2021). ადაპტირების სხვადასხვა შესაძლებლობა არსებობს: იმის გათვალისწინებით, რისკენაა მიმართული ცვლილება: კურიკულუმთან დაკავშირებული ადაპტირების შემთხვევაში საჭიროა მიზნებისა და შინაარსის მორგება ბავშვების უნიკალურ საჭიროებებზე, სწავლების მეთოდების ადაპტირებისას ხდება ინსტრუქციის, სტრატეგიებისა და ტექნიკების ცვლილება და ა.შ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინკლუზიურ განათლებას აქვს არაერთი მიმართულებით სარგებელი სპეციალური საგანმანათლებლო და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. განსაკუთრებით, როდესაც ბავშვები სწავლობენ ტიპური განვითარების მქონე თანატოლებთან ერთად ჩვეულებრივ სკოლებში. აღნიშნული მიმართულებით, მკვლევრებმა დაადგინეს, რომ უფრო მაღალი აკადემიური შედეგებით გამოირჩევიან სსსმ და შშმ სტატუსის მქონე ის ბავშვები, რომლებიც სწავლობდნენ ზოგადი ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მეტ დროს ატარებდნენ ტიპური განვითარების მქონე თანატოლებთან ერთად - იმ ბავშვებთან შედარებით, რომლებიც სპეციალიზირებულ დაწესებულებებში სწავლობდნენ. (Baker, Wang, & Walberg, 1995; Katz & Mirenda, 2002). იგივე შედეგებზე მეტყველებს ნორვეგიული კვლევა, რომელიც 500-დე სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეზე დაკვირვებით, 6 წლის

განმავლობაში მიმდინარეობდა: ჩვეულებრივ სკოლაში ჩართული მოსწავლეების 75%-ით მეტი იღებდა შემდგომში პროფესიულ და უმაღლეს განათლებას სპეციალურ კლასებში ჩარიცხულ მოსწავლეებთან შედარებით (Myklebust, 2007).

ინკლუზიური განათლების განსაკუთრებულ სარგებელზე საუბრობენ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებზე წიგნიერებისა და მათემატიკური აზროვნების განვითარებისთვის. შვეიცარიელი მეცნიერების მიერ შესწავლილი მოსწავლეების 68 ჯგუფიდან, საერთო მახასიათებლით: ასაკი, ინტელექტუალური სირთულეები, მშობლებთან ერთად ცხოვრების პირობები, კითხვისა და მათემატიკური უნარების ტესტების მსგავსი მონაცემები, ორწლიანი კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მათ მათემატიკური უნარები თითქმის ერთნაირად განუვითარდათ, ხოლო კითხვის უნარები რეგულარული სკოლის მოსწავლეებმა უკეთესად განივითარეს. მოსწავლეებს შორის განსხვავება მხოლოდ იყო მხოლოდ ის, რომ მოსწავლეთა ნაწილი დადიოდა რეგულარული ტიპის სკოლაში, მეორე ნაწილი კი- სპეციალიზირებულში (Desseimontet, Bless, & Morin, 2012).

აკადემიური სარგებელის გარდა, მკვლევრები საუბრობენ სოციალური სარგებელზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისათვის, რომლებიც ურთიერთობების შედეგად ივითარებენ ისეთ პოზიტიურ სოციალურ-ემოციურ უნარებს, როგორიცაა: თვითდახმარება, კონფლიქტის გადაჭრა, საკუთარი თავის მართვა და ა.შ. ეს კი მნიშვნელოვნად განპირობებულია ინკლუზიურობის ადრეულ ასაკშივე უზრუნველყოფით (Center on the Developing Child, 2007).

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ არაერთი გამოწვევის მიუხედავად, კვლევებით დასტურდება ინკლუზიური განათლების სარგებელი, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების, ასევე, ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეებისთვის სხვადასხვა ასპექტში. რეკომენდებულია ამ მიმართულებით კვლევების გაგრძელების აუცილებლობა საქართველოში, რომელიც ფართომასშტაბიან პოპულაციაზე შეისწავლის საგნის მასწავლებელთა, ადმინისტრაციის და სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანთა დამოკიდებულებას განსხვავებული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა მიმართ და შექმნის თანაბარ, ყველასთვის ხელმისაწვდომ, მხარდამჭერ გარემოს ბიო-ფსიქო სოციალური მოდელის გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლია ქურციკიძე, შორენა ტყემელაშვილი-ინკლუზიური განათლების გზამკვლევი. 2025წ. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ბრძანება №16/ნ. (23/02/2018 - 07/07/2020) <https://matsne.gov.ge/>
3. კანონი ზოგადი განათლების შესახებ <http://www.inclusion.ge/>
4. ეროვნული სასწავლო გეგმა(2018-2024წწ). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
5. ინკლუზიური განათლება: გზამკვლევი მასწავლებლებისათვის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2009წ.
6. Kalandarishvili, M. Tukhashvili, T. "Review of scientific research in the field of inclusive education at the Georgian University in the 2015-2021 Years". SCIENTIFIC JOURNAL OF THE MODERN EDUCATION&RESEARCH INSTITUTE(2021).

7. Kalandarishvili Maia, Eka Ninoshvili, Tamar Tukhashvili „The role of training in changing public attitudes towards the Students with Special Educational Needs’. scientific journal of the modern education & research institute. N 14. pp 25. Belgium, Brussels
8. Tamar Tukhashvili: conference materials. Proceedings of the International Conference: “The untrodden road to inclusion in education. Georgia-a story of success ”. 27-05-2021 "Modern Education & Research institute". Belgium, Brussels.
9. Brantlinger, E. A. (2006). Who Benefits from Special Education? Remediating (Fixing) Other People's Children. Mahwah, N. J. : Lawrence Erlbaum Associates.
10. Leyser, Y., & Kirk, R. (2007). Evaluating inclusion: an examination of parent views and factors influencing their perspectives. *International Journal of Disability, Development and Education*, 51(3), 271-285
11. Florian, L. (2010). Special education in an era of inclusion: The end of special education or a new beginning? *The Psychology of Education Review*
12. Hwang, Y., & Evans, D. (2011). Attitudes towards inclusion: gaps between belief and practice. *International Journal of Special Education*
13. Katz, J., & Mirenda, P. (2002). Including students with developmental disabilities in general education classrooms: Social benefits. Retrieved from http://www.internationalsped.com/magazines_articles/172full.pdf#page=27
14. Lindsay, G. (2011). Educational psychology and effectiveness of inclusive education/mainstreaming. *British Journal of Educational Psychology*
15. Odom, S. L., Buysse, V., & Soukakou, E. (2012). Inclusion for young children with disabilities: a quarter century of research perspectives. *Journal of Early Intervention*
16. Kalambouka, A., Farrell, P., Dyson, A., & Kaplan, I. (2007). The impact of placing pupils with special educational needs in mainstream schools on the achievement of their peers. *Educational Research*, 49(4), 365–382. <http://doi.org/10.1080/00131880701717222>
17. Hunt, P. F. (2019b). Feasibility Study on a Child Guarantee: Target Group discussion paper on children with disabilities. In press: European Commission
18. Carlson, L., Hemmings, B., Wurf, G., & Reupert, A. (2012). The instructional strategies and attitudes of effective inclusive teachers. *Special Education Perspectives [P]*, 21(1), 7–20.
19. Allport, G. W. (1979). *The Nature of Prejudice*. Basic Books.
20. Staub, D., & Peck, C. A. (1995). What Are the Outcomes for Nondisabled Students? *Educational Leadership*
21. Tomlinson, C. A. (2014). *The differentiated classroom: Responding to the needs of all learners*. ASCD.
22. Deroncelle-Acosta, A., & Ellis, A. (2024). Overcoming Challenges and Promoting Positive Education in Inclusive Schools: A Multi-Country Study. *Education Sciences*, 14(11), 1169. <https://doi.org/10.3390/educsci14111169>
23. Araujo Dawson, B., Kilgore, W., & Rawcliffe, R. M. (2022). Strategies for creating inclusive learning environments through a social justice lens. *Journal of Educational Research and Practice*, 12(0), 3–27. <https://doi.org/10.5590/JERAP.2022.12.0.02>
24. Baker, E. T., Wang, M., & Walberg, H. (1995). The Effects of Inclusion on Learning. *Educational Leadership*, 52(4), 33–35.
25. Katz, J., & Mirenda, P. (2002). Including students with developmental disabilities in general education classrooms: educational benefits. *International Journal of Special Education*
26. Myklebust, J. O. (2007). Diverging paths in upper secondary education: competence attainment among students with special educational needs. *International Journal of Inclusive Education*, 11(2), 215–231. <http://doi.org/10.1080/13603110500375432>

27. Dessemontet, R. S., & Bless, G. (2012). The impact of including children with intellectual disability in general education classrooms on the academic achievement of their low-, average-, and highachieving peers. *Journal of Intellectual and Developmental Disability*, 38(1), 23–30. <http://doi.org/10.3109/13668250.2012.757589>
28. <http://inclusion.ge>